




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 139

2016 წლის 19 დეკემბერი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარების ხელშეწყობისთვის, რათა მუზეუმებმა შეძლონ კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა-შეგროვება, სამეცნიერო მუშაობის და საგანმანათლებლო პროგრამების წარმოება საჭიროა დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის 2017 წლის პროგრამა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის 2016 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 144 900 (ას ორმოცდაათი ათას ცხრაასი) ლარი დანართი №1 შესაბამისად (თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე

3.



ვაჟა შუბითიძე

მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ ობიექტებზე: ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაბა სურამის ლესია უკრაინკას სახლმუზეუმი, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმი.

პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები

- კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია;
- საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე ცალკეული მხარის, კერძოდ შიდა ქართლის მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა;
- მუზეუმებში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია;
- მუზეუმების ფონდების ყოველწლიური აღრიცხვა და სისტემატიზაცია;
- სამუზეუმო ექსპოზიციებისა და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება;
- სამუზეუმო კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია;

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 144 900 ლარის ოდენობით:

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

აღრიცხული და უკეთ დაცული სამუზეუმო ფონდები.

დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლება.

მუზეუმის საქმიანობით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

შეფასების ინდიკატორი:

მუზეუმში დაცული ექსპონატების დამთვალიერებელთა რაოდენობა;

ორგანიზებულად განხორციელებული პროექტების და მათში მონაწილეთა რაოდენობა.